პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 2 აგვისტო № 177 (17820) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

არ შევანელოთ ბრძოლა მოსავლისათვის, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობა

გაიმართა ხანგრძლივი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და 1980 წლის მოსავლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის რესპუბლიკური საგანგებო შტაბის სხდომა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე მოისმინეს ქვემო ქართლის რაიონების რეგიონალური შტაბის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ო. ე. ჩერქეზიას ინფორმაცია. რომელმაც აღნიშნა, რომ შესაბამისი რაიონული პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების აქტიური მონაწილეობით რეგიონალურმა შტაბმა შემჭიდროებულ ვადებში განახორციელა გვალვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მშრომელთა დარაზმვის ორგანიზაციული ღონისძიებანი, სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტებმა, რომლებიც რეგიონალურ შტაბზე არიან მიმაგრებული, შეისწავლეს ნათესების, მდგომარეობა, წყვეს; საკვების დამზადების საკითხები. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღეს ოპერატიული გადაწყვეტილებანი. რეგიონალურმა შტაბმა უკვე მოისმინა პარტიის მარნეულისა და ბოლნისის რაიონების პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ.

რეგიონის მეტი წილი რაიონების პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში საბრძოლო განწყობილება სუფევს, იგრძნობა სოფლის მშრომელთა მზადყოფნა და სწრაფვა ყოველი ღონე იხმაროს გვალვის შედეგების აღმოსაფხვრელად, წარმატებით შეასრულონ სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების მიმდინარე წლის გეგმები და ვალდებულებანი. მაგალითად, მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მეურნეობებში უზრუნველყოფენ ადამიანებისა და ტექნიკის მასობრივ გაყვანას სამუშაოდ დილის 6 საათზე, ძლევენ ცალკეულ ობიექტურ სიძნელეებსაც, რომლებიც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას უკავშირდება. ეძებენ შესაძლებლობებს, რომ დიდ ხანს არ დარჩეს გადაუმუშავებელი მოკიდული სამრეწველო ჯიშის პამიდორი, მოგვარებულია მარნეულის რაიონიდან ამ პროდუქციის ნაწილის გაგზავნა გარდაბნის რაიონში სამრეწველო გადამუშავებისათვის, ხორცეულდება მარნეულის საკონსერვო ქარხანაში უწესივრობათა აღმოფხვრისა და საწარმოს მთელი სიმძლავრით ამოქმედების ღონისძიებები.

შტაბის სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. რ. ვ. მემარნიშვილმა, პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ი. ხაზარაძემ, პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ო. მ. ბოკერიამ, პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. დ. ბედუკაძემ, რომლებმაც რესპუბლიკურ შტაბს აღუთქვეს, რომ რაიონების კომუნისტებები, მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაძლიონ გვალვასთან დაკავშირებული სიძნელეები, უდანაკარგოდ აიღონ წლევანდელი მოსავალი.

კერძოდ, მარნეულის რაიონი უზრუნველყოფს 38 ათასი ტონა ამიდორის დამზადების გეგმის შესრულებას, განაღდებს საადრეო კარტოფილის დამზადების, კერძოდ, საკავშირო ფონდში 17,5 ათასი ტონა კარტოფილის გაგზავნის საგეგმო დავალებებს, რაიონი ერთიორად გადააჭარბებს ხახვის დამზადების გეგმას. აგვისტოს შუა რიცხვებისათვის დაგეგმილია თივის დამზადების გეგმის შესრულება. საკვების რესურსების შევსებისათვის დასახულია გამოიყენონ კარტოფილის ფოჩი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ნარჩენებიც.

ბოლნისის რაიონმა უკვე 2000 ტონით გადააჭარბა საკავშირო ფონდში საადრეო კარტოფილის გაგზავნის გეგმას, ხოლო მთლიანად გეგმის გადაჭარბებით სულ ცოტა 12 ათას ტონა კარტოფილს დაამზადებს. რაიონის მეურნეობები ამირეკენ ხორცისა და ქვირცხის დამზადების გეგმები შეასრულონ 1 სექტემბრისათვის. ხოლო 20 აგვისტოსათვის—საკვების დამზადების გეგმა. რაიონში დასახული აქვთ საკვების დამზადების კვირეულები მოაწყონ მინდვრებში, ტყის საცავ ზოლებში, ტყის მასივებში. რაიონში საოსფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის წარმატებით აღებასთან ერთად გაჩნდა ვენახების მორწყვის შესაძლებლობა. რწყვა, ჩვეულებრივ, ღამითა ხდება.

გარდაბნის რაიონში დაახლოებით ათას ჰექტარ ფართობზე დამატებით დაითესა ბოსტნეული, რაიონის მეურნეობები ასრულებენ ბოსტნეულის დამზადების გეგმას.

რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე შტაბის წევრები — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. შ. ვ. იცადაშვილი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ბ. გადელია.

სხდომაზე აღინიშნა, რომ გვალვასთან და რესპუბლიკის ბევრ რაიონში ბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებაზე შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით საჭიროა ძირითად მებოსტნეობის რაიონებში დამატებით დათესოს ბოსტნეული იმ ვარაუდით, რომ მტკიცედ უზრუნველყონ რესპუბლიკის გეგმის შესრულება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაიონულ პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაეკალათ დაიჩქარონ ფართობის გამონახვა დამატებითი თესვისათვის და ამ საკითხთან დაკავშირებით წინადადებები წარუდგინონ რესპუბლიკური შტაბის მომდევნო სხდომას.

სხდომაზე სამართლიანად გააკრიტიკეს აგრეთვე თეთრი წყაროს რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები. ამ რაიონში შეუწყვარებლად ნელა და უხარისხოდ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება, არ უზრუნველყოფენ ნამჯისაგან მინდვრების გაწმენდას, დიდი რაოდენობით კარგავენ მას. პარტიის რაიონულ კომიტეტს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი მოსავლის აღების სამუშაოთა მიმდინარეობისადმი, გაზარდოს დაკისრებული საქმისათვის ადამიანების პასუხისმგებლობა.

ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია არც ერთ რაიონში არ შევანელოთ ბრძოლა წლევანდელი მოსავლისათვის, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკვების დამზადების ყველა შესაძლებლობა, უაირათიანად ვხარჯოთ სარწყავი წყალი, ფართოდ დავნერგოთ ღამის რწყვა, სამუშაოთა გრაფიკების ზუსტი დაცვით, უზრუნველყოთ სოფლის მეურნეობის დარგში საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

რესპუბლიკის შტაბის სხდომის შედეგები შეაჯამა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

საბჭოთა კავშირმა, როგორც ეს 1979 წლის 6 ოქტომბერს განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო დადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეემცირებინა საბჭოთა ჯარების რიცხვი ცენტრალურ ევროპაში და წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიიდან გამოიყვანა ოცი ათასამდე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე, ათასი ტანკი, აგრეთვე გარკვეული რაოდენობის სხვა სამხედრო ტექნიკა. ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო გულწრფელი სურვილით, რომ იმპულსი მისცემოდა ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების მიღწევის ღონისძიებებს, ეჩქარებინა ამ მიმართულებით რეალური მოქმედების მაგალითი.

სსრ კავშირის ფარგლებში საბჭოთა ჯარების აღნიშნული კონტინგენტის გამოყვანა დაიწყო 1979 წლის 5 დეკემბერს. საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება თანამიმდევრულად ხორციელდებოდა, ამირიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამხედრო ბლოკის იმ ცდების მიუხედავად, რომ გაემწვავებინათ საერთაშორისო დაძაბულობა და გაეძლიერებინათ გამალებული შეიარაღება ევროპაში, და მისი შესრულება მთლიანად დამთავრდა 1980 წლის 1 აგვისტოსათვის.

საბჭოთა კავშირი, როგორც ეს არაერთგზის იყო გამოცხადებული, კვლავაც თანამიმდევრულად განახორციელებს განიარაღებისაკენ შემობრუნების მიღწევის, მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების, სრულიად ევროპის თანმხვედრის საბოლოო ჰელსინკის პრინციპებისა და დებულებების ხორცშესხმის კურსს. არსებობს ობიექტური შესაძლებლობანი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ არ დაუშვან ახალი „ცივი ომისაკენ“ დაჭანება, თავიდან აიცილონ თერმობირთვული კონფლიქტის საფრთხე, უზრუნველყონ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა. ამ ამოცანის გადაწყვეტის გზაა თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის ზუსტად დაცვაზე დაფუძნებული მოლაპარაკების გზა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲤᲠᲔᲜᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲙᲝ ᲓᲐ ᲤᲐᲛ ᲢᲣᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

1980 წლის 31 ივლისს მოსკოვის დროით 18 საათსა და 15 წუთზე „სალუტ-6“-„სოიუზ-36“-„სოიუზ-37“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ერთობლივ საშუაოთა დასახული პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ეკიპაჟი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ვიქტორ ვასილის ძე გორბატკოსა და მკვლევარი კოსმონავტის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის ფამ ტუანის შემადგენლობით დედამიწაზე დაბრუნდა.

კოსმონავტები ამხანაგები პოპოვი და რიუმინი განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6“ სადგურში.

„სოიუზ-36“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი საბჭოთა კავშირის გათვალისწინებულ რაიონში დაჯდა ქალაქ ჯეზყაზღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 180 კილომეტრზე.

ამხანაგები გორბატკო და ფამ ტუანი დედამიწაზე დაშვების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

„სალუტ-6“-„სოიუზ-36“-„სოიუზ-37“ ორბიტული კომპლექსით ერთობლივი ფრენის დროს ამხანაგებმა პოპოვმა, რიუმინმა, გორბატკომ და ფამ ტუანმა შეასრულეს მთელი რიგი ტექნოლოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის სპეციალისტებმა მოამზადეს სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მონაწილეობით. ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შესწავლის პროგრამის მიხედვით საერთაშორისო ეკიპაჟი აწყობდა დედამიწის ზედაპირის, მათ შორის, ვიეტნამის ტერიტორიის ცალკეული რაიონების ვიზუალურ დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას. კოსმონავტებმა განაგრძეს აგრეთვე ექსპერიმენტები, რომლებიც წინა გაფრენების დროს დაიწყეს ეკიპაჟებმა „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნების სპეციალისტთა მიერ შექმნილი სამეცნიერო აპარატურის გამოყენებით.

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტულ კომპლექსში კვლევის ფართო პროგრამის შესრულების შედეგად მიღებულია ახალი მონაცემები, რომლებსაც სახალხო მეურნეობის ინტერესებისა და კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის გამოიყენებენ.

წარმატებით დამთავრებული კოსმოსური ფრენა დამაჯერებლად მოწმობს, თუ რაოდენ განვითარდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ვიეტნამის მეცნიერული და ტექნიკური ურთიერთობა, იგი კოსმოსის მშვიდობიან ათვისებასა და გამოყენებაში სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ნაყოფიერი თანამშრომლობის ახალი მკაფიო მაგალითია.



ᲯᲔᲖᲧᲐᲖᲦᲐᲜ. კოსმონავტები ვ. გორბატკო და ფამ ტუანი დედამიწაზე დაშვების შემდეგ. საკადრ.-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ვ. Ვ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲙᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო კვლევითი კომპლექსი წარმატებული ფრენისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 31 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲤᲐᲛ ᲢᲣᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„სალუტ-6“-„სოიუზ“ ორბიტული სამეცნიერო კვლევითი კომპლექსით წარმატებული ფრენისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ medali ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეს მკვლევარ კოსმონავტს ფამ ტუანს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი; კრემლი. 1980 წლის 31 ივლისი.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივმა კომიტეტმა დაადგინა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭოს სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ვ. ვ. გორბატკოს და გადაეცეს მას „ოქროს ვარსკვლავის“ medali, აგრეთვე გმირის წოდება მიენიჭოს მკვლევარ კოსმონავტს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის გმირს ფამ ტუანს და გადაეცეს მას მეორე „ოქროს ვარსკვლავის“ medali.

ამასთან დაკავშირებით მიღებულია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილის შემსრულებელ ნგუენ ჰიუ თხოს შესაბამისი ბრძანებულებები.

კოსმონავტები დაჯილდოდნენ „სალუტ-6“ „სოიუზ“ სამეცნიერო-კვლევითი ორბიტული კომპლექსით საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის კოსმოსური ფრენის დროს დავალების სანიმუშო შესრულებისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის. (საკადრ).

მეგობრული შეხვედრა

31 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გიერეკს, რომელიც საბჭოთა კავშირში ატარებს თავის შვებულებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთ ქვეყნებში არსებული ვითარება, პრობლემები, რომელთა გადაჭრაზე მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია.

საუბრის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ორი მოძმე პარტიის პოლიტიკურ თანამოქმედებას, რომელიც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა შემდგომი დაახლოების, მათი მრავალმხრივი თანამშრომლობის მუდმივი გაღრმავების მამოძრავებელი ძალაა.

უკანასკნელ ხანს დადებულ შეთანხმებათა შესაბამისად მომავალ ხუთწლედში განვითარდება კოოპერაცია და სპეციალიზაცია ელექტრონულ მრეწველობაში, თვითმფრინავმშენებლობაში, გემმშენებლობასა და ეკონომიკის სხვა წამყვან დარგებში. განხორციელდება დიდმნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ენერგიაზე ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მესამედით და მეტად გაიზრდება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საქონელბრუნვა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ორივე ქვეყანამ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა კონტროლი გაეწიოს სპეციალიზაციისა და კოოპერირების გრძელვადიანი პროგრამის ზუსტ და დროულ შესრულებას, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უფრო ეფექტიან გამოყენებას ორმხრივი ინტერესებისათვის. უნდა ამოქმედდეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში, კერძოდ, მსუბუქ და კვების მრეწველობაში არსებული რეზერვები.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ ახლა არსებითად წყდება გამალებული შეიარაღების ახალი ტურის დაწყება-აღდაწყების საკითხი. საბჭოთა კავშირი და პოლონეთი, რომლებმაც ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღეს მეორე მსოფლიო ომის დროს, ახლა სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ არ დაუშვან ომის საფრთხის გაძლიერება. გადაუღობონ გზა რაკეტულ-ბირთვული პოტენციალების დაუოკებელ გაძლიერებას — აი დედაარსი დეკლარაციისა, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მიიღო პოლონეთის დედაქალაქში გამართულ მაისის თათბირზე. ამ გონებისა და კეთილი ნების ხმამ შესაბამისი გამოხმაურება უნდა პოვოს დასავლეთში, რათა ხელიდან არ გავუშვათ ევროპასა და მთელ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღების შესაძლებლობანი.

უკანასკნელ ხანს გამართული სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრები და მოლაპარაკება მოწმობს, რომ საუსტბით შესაძლებელია იმ სიძნელეთა დაძლევა, რომლებსაც დაძაბულობის შენელების პროცესი აწყდება. მაგრამ ამასთან არც ერთმა მხარემ არ უნდა სცადოს სამხედრო ძალების დამკვიდრებული წონასწორობის დარღვევა.

შეხვედრის მონაწილეებმა გააღასტურეს, რომ განუხრელად უჭირენ მხარს პალესტინელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას თავისი ეროვნული უფლებისათვის, კერძოდ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის, მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგების მოთხოვნები ავტორიტეტულად არის ჩამოყალიბებული სპეციალურ რეზოლუციაში, რომელიც ახლახან მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გიერეკმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საჭირბოროტო პრობლემებზე. ამ დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომუნისტების, აგრეთვე სხვა პროგრესული და მშვიდობისმოყვარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობების სოლიდარულ მოქმედებას მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ორი მოძმე პარტიის ხელმძღვანელთა შეხვედრამ გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა (საკადრ).

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ



ᲪᲮᲔᲚᲘ ზაფხულია წელს საქართველოში. მაგრამ განსაკუთრებით ცხელი დღეები დაუდგა იმათ, ვინც წელს გამოცდები უნდა ჩაბარეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

მისაღები გამოცდების პირველ დღეს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ი. ჩხიკვიშვილი. (საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. წერითი გამოცდა.

ს. კილაძის ფოტო.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲔᲤ. ᲛᲐᲠᲨᲔᲚᲗᲐᲜ

30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ლ. ი. ბრეჟნევი უერიმიდან ტელეფონით ესაუბრა ქალაქ მოსკოვში ოლიმპიურ ასპარეზობაზე მყოფ სოფრანგეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს ჟ. მარშეს.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოფრანგეთის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ოლიმპიური მოძრაობის დაცვისა და 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარების საქმეში, რომლის წარმატება ცხადია.

ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ ამ-თქვა ფრანგ სპორტსმენთა და ყველა კონტინენტის ქვეყნების სპორტსმენთა ოლიმპიადაში მონაწილეობის, სპორტული შედეგების მაღალი დონის, ასპარეზობის კარგი ატმოსფეროსა და მოწყობის პირობების გამო. ყოველივე ამან, ხაზგასმით აღნიშნა მან, დაადასტურა, თუ რაოდენ სწორია ჩვენი ბრძოლა ამისათვის, რომ ოლიმპიური ასპარეზობა გამართულიყო, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, მოსკოვში.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ჟ. მარშემ აღაოფილებით აღნიშნეს, რომ ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობა ახალ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრა ორი პარტიის ამა წლის იანვრის შეხვედრამ. მათ დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან კვლავაც იარონ ამ გზით საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 год суббота 2 августа № 177 (17820) Цена 2 коп.

დაცვაცვგისათვის—პასუხისგებაში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში გამოავლინა სახელმწიფო სახსრების დატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით. წინასწარი მონაცემებით, საბჭოთა მეურნეობაში დატაცებულია 332,7 ათასი მანეთი, აქედან დამნაშავეებს ჩამოერთვათ 63,5 ათასი მანეთი.

ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში რიგი წლების მანძილზე მუშაობა არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა, სისტემატურად არ სრულდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. ურიგდებოდნენ წამატებებს და კანონიერების სხვა დარღვევებს, რის შედეგადაც მეურნეობას ყოველწლიურად დიდი ზარალი ადგებოდა.

ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე საბჭოთა მეურნეობაში კადრებს არჩევდნენ მათი სანდოობა და მორალური თვისებების გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე აღმოჩნდა ლ. მ. ქავთარაძე, რომელიც წინათ ნასამართლეები იყო და სკკპ რიგებიდან გაირიცხა სწორედ ამ მეურნეობაში დაშვებული წამატებებისა და ბოროტმოქმედებისათვის. ასევე დაუმსახურებლად აღმოჩნდა მეურნეობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე საბჭოთა მეურნეობის ახლანდელი დირექტორი რ. ზ. აბდუშელაშვილი, რომელიც საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მუშაობის ჩაშლისათვის განთავისუფლული იყო კომკავშირის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის, რაიაღმასკომისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს მხრივ სრულმა უკონტროლობამ დამნაშავეებს შესაძლებლობა მისცა აერიათ საბუღალტრო აღრიცხვა საბჭოთა მეურნეობაში, სისტემატურად უხეშად დაერღვიათ საკასო დისციპლინა და ამით შეექმნათ სახელმწიფო სახსრების დატაცების პირობები.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის (ყოფილი პირველი მდივანი ამხ. ა. ი. გონაშვილი, მეორე მდივანი ამხ. ნ. ი. მელაძე) და სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს (უფროსი ამხ. ვ. ვ. თეთრუაშვილი) ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ინერტულობა იქამდე მივიდა, რომ ისინი ოფიციალური ორგანოების სიგნალებზეც კი აღარ რეაგირებდნენ. მაგალითად, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მანგლისს განყოფილებიდან 1978 წლის ივლის—1980 წლის მარტში შეტანილი დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს მეურნეობის ეკონომისტ-ბუღალტრ ლ. ვ. ბაკურაძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

თეთრი წყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მ. ი. დალაქიშვილს, რომელიც არადამაკმაყოფილებად ხელმძღვანელობდა საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, შეურიგდა მათს ზარალიანობას, აგრეთვე საფინანსო და საკასო დისციპლინის უხეშ დარღვევებს, რის შედეგადაც ორბეთის საბჭოთა მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში დატაცებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახსრები, გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის ჩაშლის, სახელმწიფოსათვის დიდი ზარალის მიყენებისა და მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე ლ. მ. ქავთარაძის დაწინაურებისათვის, რომელიც წინათ ნასამართლევი, სკკპ რიგებიდან გარიცხული იყო და განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრები დაიტაცა, ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი გ. გ. ბაკურაძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

საბჭოთა მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, საბუღალტრო აღრიცხვაში ჯერიანი წესრიგის დასამყარებლად ონისძიებათა განუხორციელებლობისა და საფინანსო და საკასო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის, რასაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრების დატაცება მოჰყვა, ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი რ. ზ. აბდუშელაშვილი გაირიცხა სკკპ რიგებიდან და მოიხსნა დაკავებული თანამდებობიდან.

იმის გამო, რომ სუსტად უძღვებოდა სოფლის მეურნეობას, შეურიგდა ზარალიანობას რაიონის მეტ წილ მეურნეობებში და არ რეაგირებდა ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში საფინანსო და საკასო დისციპლინის უხეში დარღვევების შესახებ შემოსული სიგნალებზე, თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ვ. მ. თეთრუაშვილი მკაცრი სასჯელის ღირსია, სკკპ რიგებიდანაც კი არის გასარიცხი, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამუშაოდან ბრძანება აუკრძალა.

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაკომს დაევალა განიხილოს ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ვ. ალთუნაშვილისა და მეურნეობის სხვა ხელმძღვანელთა ბრალეული — პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც გაბრალდენ ამ მეურნეობაში მომხდარ უხეშ ფინანსურ დარღვევებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს; საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომსა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცათ დეტალურად შეისწავლონ ორბეთის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და დასახონ მეურნეობაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა თეთრი წყაროს რაიონისადმი ხელმძღვანელობის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი. (საინფორმო).

პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი და მისი საზრუნავი

ახლახან გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე განიხილეს პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ". მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ჭარუმიძემ.

✦✦

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, მათი ინსტრუქტორები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ თავიანთ საქმიანობას, ახმარენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას, რაზმავენ მასებს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებისათვის უცხო მოვლენებთან საბრძოლველად.

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა დარგში ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. წარმატებით შესრულდა მიდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა: მრეწველობამ გამოუშვა 60 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია და 28 ივნისისათვის გაანაღდა ექვსი თვის დავალება. შესამჩნევი წარმატებებია მიღწეული კაპიტალურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითის მუშაობაში ძირითადი ყურადღება ეთმობა იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მისი იდეური, მეცნიერული დონე, საქმიანობა და კონკრეტულობა, განმტკიცდეს კავშირი ცხოვრებასთან, გადაწყდეს სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში კომპლექსურ მიდგომას, როგორც მისი ეფექტიანობის ამაღლების ძირითად გზას.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები უფრო გულდასმით არჩევენ ინსტრუქტორთა კადრებს, უფრო გულმოდგინედ მუშაობენ მათი იდეური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებლად.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიული აპარატის ინსტრუქტორი ცენტრალური ფიგურაა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს კავშირს პარტიულ კომიტეტსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციას შორის, ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, ეხმარება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახულ ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებაში, აცნობს პარტიულ კომიტეტებს საქმის ვითარებას ადგილებზე, აყენებს საკითხებს, რომლთა გადაწყვეტა ხელმძღვანელ ორგანოებს ამაღლებს ძირითად გზას.

თუ საქმიანობას ინიციატივაც ერთვის

ნოთა ჩარევას მოითხოვს, ავრცელებს მოწინავე გამოცდილებას, ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

კონფერენციაზე მოიყვანეს იმის მაგალითები, თუ რაოდენ ნაყოფიერად მუშაობენ პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის, მცხეთის, სამტრედიის, საგარეჯოს, გულრიფშის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორები მ. მოზგოვი, ზ. ლოხიშვილი, რ. ღინდალაძე, ვ. მათიაშვილი, ნ. ბაირამოვა, ზ. ფარცვანია და მრავალი სხვა, რომლებიც უნარიანად წარმართავენ რა თავიანთ საქმიანობას, ბევრის გაკეთებას ასწრებენ, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ეხმარებიან კოლექტივებში პარტიული მუშაობის წარმართვაში.

ამასთან ერთად კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პარტიული კომიტეტების ინსტრუქტორთა მუშაობის სტილი და მეთოდები ნიადაგ უნდა იხვეწებოდეს, უნდა მაღლდებოდეს ინსტრუქტორთა როლი პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. ჯერჯერობით კი ბევრი ინსტრუქტორის მუშაობა არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, ხშირად მოწყვეტილია იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას, ყოველთვის არ ითვალისწინებს მშრომელთა კოლექტივების სპეციფიკურ თავისებურებებს.

სამართლიანად აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტები ჯერჯერობით ყოველთვის კვალიფიციურად როდი ხელმძღვანელობენ ინსტრუქტორთა საქმიანობას, არ ეხმარებიან მათ მუშაობაში. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორები დასაქმებული არიან ტექნიკური ხასიათის ამოცანათა შესრულებით, მათ მიამაგრებენ ხოლმე ამა თუ იმ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში და ფაქტობრივად ყოველდღიური ცნობების გადამცემთა როლს ასრულებინებენ. ზოგჯერ ამ განყოფილებათა ინსტრუქტორებს ავალებენ ისეთი საკითხების შესწავლას, რომლებიც მათს თანამდებობრივ კომპეტენციაში არ შედის. ასეთი ფაქტები გვხვდება ახალქალაქის, მაიაკოვსკისა და ზოგიერთი სხვა რაკომის მუშაობის პრაქტიკაში. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ამცირებს ინსტრუქტორთა მუშაობის ეფექტიანობას.

პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ინსტრუქტორების ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას საფუძვლად უდევს სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის თაობაზე „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომები და გამოსვლები, მისი წიგნები „მცირე მიწა", „აღორძინება", და „ყამირი", 1979 წლის ოქტომბერში გამართული იდეოლოგიურ მუშაკთა საკავშირო თათბირის მასალები, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი. (საინფორმო).

საერთაშორისო ცხოვრება
დიპლომატიის ჟურნალი

დაძაბულობის შენელება, თანამშრომლობა, უშიშროება

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი „პრავდის" რედაქციის კითხვებზე საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ გამოაქვეყნეს. მან დიდი რეზონანსი გამოიწვია ყველა კონტინენტზე. პრესა, რადიო და საზოგადო მოღვაწენი მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ დადასტურებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელება, გაღიარება, მშვიდობის დამკვიდრება და ომის თავიდან აცილება.

ბულგარეთის გაზეთი **„რაბოტნიჩესკო დელო"** ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას უწოდებს ახალ წვლილს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებაში, დაძაბულობის შენელების პროცესს, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განვითარებაში.

პოლონური **„ტრიბუნა ლუდუ"** აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოთა ხელმძღვანელის იმ სიტყვებს, რომ საბოლოო აქტი, ისევე როგორც გართიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, კაცობრიობას უადგილებს გადასვლას საერთაშორისო ურთიერთობაში ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

„ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს ფრანგული **„ლუმანიტე"**, აღნიშნა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი აქტუალურ როლს ასრულებს დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის დამკვიდრების, სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაჯანსაღების საქმეში".

ლონდონის გაზეთი **„ტაიმსი"** წერს: პრეზიდენტმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაუფარავად თქვა, რომ საბჭოთა კავშირი დაღებითად აფასებს ჰელსინკის მორიგებებს, რომელთაგან უკანდასახვი გზა არ არსებობს. ჰელსინკის თათბირი საბჭოთა კავშირის ინიციატივით მოეწყო და რუსები ამაყობენ თათბირის გამართვითა და შედეგებით, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთის ურთიერთობას ევროპის სხვა ქვეყნებთან. საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის, აღნიშნავს გაზეთი, ჰელსინკის დიდმნიშვნელოვანი ასპექტები მუდამ იყო სამხედრო და პოლიტიკური დებულებები, ანუ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხები.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს დასავლეთ გერმანიის **„ალგემაინერ შტადტ ანციგერი"**, თქვა, რომ მხარს უჭერს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების და განიარაღების კონფერენციის მოწვევას. შთავარია მივაგნოთ გზას, თუ როგორ შევამციროთ ომის საფრთხე ღღევანდელი და მომავალი ევროპისათვის, და მასასადამე, მთელი მსოფლიოსათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტა, საბჭოთა ხელმძღვანელის აზრით, შეუძლებელია გამალებული შეიარაღების შეზღუდვის დარგში რეალური ძვრების მიუღწევლად.

ვენესუელის მშვიდობის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა **უმბერტო ორსინიმ** თქვა: ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მეესალმება საბჭოთა სახელმწიფოს მეცადინეობას, რომლის მიზანია აღკვეთოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და დაამკვიდროს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ლ. ი. ბრეჟნევის პასუხში ხაზგასმით აღინიშნა სსრ კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება ღირსეული წვლილი შემატოს ხალხთა ბრძოლას საყოველთაო უშიშროებისათვის. დემოკრატიულმა მთავრობებმა, რომლებისთვისაც ძვირფასია პროგრესის იდეალები, მხარი უნდა დაუჭირონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ მეცადინეობას, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხთა მისწრაფებებს შეესაბამება.

ულმოგელი რასოგრივი დისკრიმინაცია

ლონდონი. ინგლისის მმართველი კონსერვატიული პარტია, რომელიც სხვა ქვეყნებში „ადამიანის უფლებათა დაცვის" დემაგოგიური განცხადებებით გამოდის, ისწრაფვის დაარღვიოს ქვეყნის ორმოლიონიანი ფერადკანიანი მოსახლეობის სოციალური უთანასწორობა.

მ. ტეტჩერის კაბინეტმა გამოიჩინა მორიგი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც თელავს ბრიტანელ ფერადკანიანთა მოქალაქეობრივ უფლებებსა და თავისუფლებებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქ გამოქვეყნებული „თეთრი წიგნის" თანახმად, დიდ ბრიტანეთში განზრახულია შემოიღონ სამი კატეგორიის მოქალაქეობა. წარმოშობით ბრიტანელებისათვის, ყოფილი კოლონიებისა და სამეურვეო ტერიტორიების მკვიდრთათვის და, ბოლოს, მესამე ქვეყნებში მცხოვრები ინგლისელებისა და ფერადკანიანი იმიგრანტებისათვის. ამიერიდან „ბრიტანეთის ასპროცენტიან მოქალაქეებად" ჩაითვლებიან მხოლოდ ისინი, ვინც პირველ კატეგორიას განეკუთვნება.

ფოტოინფორმაცია





ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ლტოლვილ პალესტინელთა რიცხვი 4 მილიონს აღწევს. მათი ძირითადი მასა პალესტინის ბანაკებში ცხოვრობს.

სურათებზე: პალესტინის ერთ-ერთი ბანაკი (მარცხნივ); პალესტინელი უცხოობაში.

საკ.ფოტოქრონიკა.

აგრესიული გამოხდომა

ლუანდა, 1 აგვისტო. რასისტულმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ახალი აგრესიული გამოხდომა მოაწყო ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც დღეს ლუბანგუდან ანგოპის სააგენტო იტყობინება, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეზობელ სამხედრო ოლქის სარდალმა პოდპოლკოვნიკმა ფოგეტაომ განაცხადა, რომ 28 იანვლის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საჰაერო-სადესანტო ჯარების ქვეგანაყოფები ანგოლის ტერიტორიაზე შეიჭრნენ კუნენეს პროვინციის დასახლებულ პუნტებს ყვაბატოსა და ნჟივას შორის მდებარე რაიონში. ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა უკუაგდეს სამხრეთ აფრიკელი ვაი-მეომრები.

პრეტორიის აგრესიული მოქმედების ახალ ესკალაციას რომ შეეხო, პოდპოლკოვნიკმა ფოგეტაომ ხაზი გაუსვა, რომ რასისტთა მეთაურების მრავალისმაუწყებელი განცხადებანი იმის შესახებ, თითქოს ანგოლიდან გაეყვანოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ეს გაყვანა მხოლოდ ნაწილობრივი იყო.

მან განაცხადა, რომ ოკუპირებული ნამიბიის ტერიტორიაზე მოქმედი სამხრეთ აფრიკის ავიაცია ყოველდღე აწყობს სადაზვერვო ფრენას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში, ცდილობს ანგოლაში შეგზავნოს უნიტას მარიონეტული დაჯგუფების ბანდები.

ასამართლეგენ კონფედერაციას

ანკარა. დაიწყო მორიგი სასამართლო გარჩევა მშრომელთა ფართო მასების დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ნაცადი მებრძოლის — თურქეთის რევოლუციურ მუშათა პროფკავშირების კონფედერაციის საქმის გამო. როგორც დღეს გაზეთი „თერჯომანი" იტყობინება, სტამბოლის პროკურატურა ცდილობს მიაღწიოს კონფედერაციის საქმიანობის აკრძალვას და ბრალად სდებს მას, კერძოდ, უკანონო საყოველთაო გაფიცვების მოწყობას.

ულტრამემარჯვენე ტერორისტების ხელით მოკლული კონფედერაციის ერთ-ერთი დაამარსებლის, თვალსაჩინო პროფკავშირული და საზოგადო მოღვაწის ქ. თურქლერის ამასწინანდელი დაკრძალვა სტამბოლში გადაიქცა თურქეთის იმ ათიათასობით მშრომელის გრანდიოზულ დემონსტრაციად, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ქვეყანაში მზარდი ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ.

ულმოგელი რასოგრივი დისკრიმინაცია

ლონდონი. ინგლისის მმართველი კონსერვატიული პარტია, რომელიც სხვა ქვეყნებში „ადამიანის უფლებათა დაცვის" დემაგოგიური განცხადებებით გამოდის, ისწრაფვის დაარღვიოს ქვეყნის ორმილიონიანი ფერადკანიანი მოსახლეობის სოციალური უთანასწორობა.

მ. ტეტჩერის კაბინეტმა გამოიჩინა მორიგი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც თელავს ბრიტანელ ფერადკანიანთა მოქალაქეობრივ უფლებებსა და თავისუფლებებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქ გამოქვეყნებული „თეთრი წიგნის" თანახმად, დიდ ბრიტანეთში განზრახულია შემოიღონ სამი კატეგორიის მოქალაქეობა. წარმოშობით ბრიტანელებისათვის, ყოფილი კოლონიებისა და სამეურვეო ტერიტორიების მკვიდრთათვის და, ბოლოს, მესამე ქვეყნებში მცხოვრები ინგლისელებისა და ფერადკანიანი იმიგრანტებისათვის. ამიერიდან „ბრიტანეთის ასპროცენტიან მოქალაქეებად" ჩაითვლებიან მხოლოდ ისინი, ვინც პირველ კატეგორიას განეკუთვნება.

მოკლედ ყოველი მხრიდან

1 აგვისტო

● **გუდაკეში.** დამკვრელური ტემპით ხორცელდება ალუმინის მრეწველობის განვითარების სამთავრობო პროგრამა უნგრეთში. ყოველწლიურად რესპუბლიკაში იღებენ სამ მილიონ ტონა ბოქსიტის მადანს. ბოქსიტის თითქმის მესამედი გადასამუშავებლად საბჭოთა კავშირში იგზავნება, რომელიც ამ დარგში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდესი პარტნიორია.

● **ბონი.** როგორც გაზეთი „უნზერე ცაიტი" წერს, „უცნობი პირები" თავს დაესხნენ „გერმანელთა კომუნისტური პარტიის პროპაგანდისტულ ცენტრს" ობერურზელში (ბესენის მხარე). მათ ჩაამსხვრიეს მინები, აგრეთვე შენობის ფასადზე დაჭდაბნეს სვასტიკები და ნეონაციისტური ლოზუნგები.

● **ბეირუთი.** შიმშილობა გამოაცხადა კიდევ 250 პალესტინელმა, რომლებიც ისრაელის აწკელონისა და რამლეს საპატიმროებში იტანჯებიან. ისინი სოლიდარობას უცხადებენ ნეგევის უდაბნოში მდებარე „ნაფხის" საპატიმროში მყოფ პალესტინელ პატრიოტებს.

საკლესისა და ახალი ამბების საagენტო
კორესპონდენტები გვატყობინებენ

უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. უშიშროების საბჭომ ერთხმად ურჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად მიიღოს ზიმბაბვე, რომელმაც ბოლო მოუღო რასისტულ ბატონობას და აპრილში დამოუკიდებელი გახდა.

აფრიკის ახალი სახელმწიფოს ჯერ ბრიტანელ კოლონიზატორებთან, ხოლო შემდეგ იმ უკანონო რასისტულ რეჟიმთან ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში იმვე, რომელსაც 1965 წლიდან სათავეში ედგა იან სმიტი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში და დელეგაციაში ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რ. მუგაბემ განაცხადა, რომ ახალი სახელმწიფო ჯისრულობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას და საქვეყნოდ აცხადებს, რომ შეასრულებს მათ.

აქეზებენ შეიარაღებულ ჩარევას

დელი. 1 აგვისტო. აქ მიღებული ცნობის თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების ისლამაბადელი ელჩი ამას წინათ შეხვდა პაკისტანში მოკალათებული კონტრრევოლუციური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებენ. განიხილეს საკითხი, რომ გაუდიდონ მან ამერიკელი, ასევე ეგვიპტური იარაღის მიწოდება ავღანეთში შეიარაღებული ჩარევის გასაძლიერებლად.

მთავარი მიზნები

ლისაბონი. 1 აგვისტო. პორტუგალიის კომუნისტური პარტიის სულ უფრო ფართოდ აჩაღებულ პარლამენტის 5 ოქტომბრის არჩევნებისათვის მზადებას, მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებს აცნობს პროგრამას, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული პორტუგალიის კომუნისტური პარტიის მთავარი მიზნები და ამოცანები.

ამ დოკუმენტში აღნიშნულია მომავალი არჩევნების მნიშვნელობა 1974 წლის აპრილის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის. პორტუგალიის კომპარტია ხაზს უსვამს, რომ ახლა ცენტრალური საკითხია დემოკრატიული კონსტიტუციის თანამიმდევრული დაცვა რეაქციის ყოველგვარი თავდასხმისაგან.

იგი აგრეთვე გადაჭრით ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ პორტუგალია დაემორჩილოს ატლანტიკურ მიზნებს, რომლებსაც ალა ნატოს ბლოკი ისახავს, და უარყოფითად ეკიდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას.

პროგრამა დაასკვნის, რომ შესაძლებელია რეაქციაზე თავისუფლებისა და დემოკრატიის ძალების გამარჯვება. როგორც პორტუგალიის კომპარტია აღნიშნავს, ამისათვის ყველაზე მტკიცე მოთხოვნაა მთელი დემოკრატიული ძალების ერთიანობის უზრუნველყოფა.

დანიელები გაეცნოგიან საქართველოს

სექტემბრის ბოლოს დანიაში მოეწყობა საბჭოთა კავშირის დღეები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკა.

— დანიელები გაეცნობიან საქართველოს, მის ისტორიულ წარსულს, დღევანდელ დღეს,—თქვა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა.— დიდი ფოტოგამოფენა გააცნობს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში

დანიელების წინაშე გამოვლენილ აჭარის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ანსამბლები, საქართველოს ზოგადტექნიკურ-საგანმანათლებლო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ეკალური ჯგუფი, ანსამბლი „ციფერი ტრიო". მოეწყობა საქართველოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები.

წელს საბჭოთა საქართველოს წარმოდგენილი იქნება ადრეული „სსრ კავშირის დღეებზე" იტალიაში, ანგოლასა და კონგოს სახალხო რესპუბლიკაში. (საინფორმ.).

პროგლემა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მმართვა სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი გვაფრთხილებს დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ყურადღების ცენტრშია. ყველგან ოპერატიული ღონისძიებები ხორციელდება ბუნების ჭირვეულობით გამოწვეული მძიმე შედეგების დასაძლევად, მოსავლის გადასარჩენად.

მართალია, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გვაფრთხილა შედეგების დასაძლევად სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიმართა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შექმნილი მდგომარეობა ქალაქის მშრომელებს, კერძოდ, თბილისის მოსახლეობას არ ეხებოდეს.

პაპანაქებაა, წყალზე მოთხოვნილება მკვეთრად გაზარდა. დედაქალაქის ზოგიერთი რაიონის მოსახლეობა წყლის ნაკლებობას უჩივის, აღშფოთებულია თბილწყალკანალიზაციის საწარმოს გაუმართავი მუშაობით, მაგრამ ეს არ არის სწორი, ყველაფერს ამას ნუ გადავაბრალებთ.

წყლის დეფიციტის შექმნა ჩვენი, თბილისელი მცხოვრებლების, აქ განლაგებული სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ბრალიც არის. ონკანებიდან და ჩამრეცხი აუზებიდან დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მოედინება და უმიზნოდ იღვრება! ეს მაშინ, როცა ფიდალაქის ცალკეულ უბნებს, ბაღებსა და სკვერებს წყალი აკლიათ.

რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოებში დღე-ღამეში 762 კუბური მეტრი წყალი იკარგება. შემოწმებისას აქ 64 ონკანი და 57 ჩამრეცხი აუზი აღმოჩნდა დაზიანებული. ჩვენ შევახსენებთ საავადმყოფოს მთავარ ექიმს ჯ. აბულაძეს, რომ მის მოვალეობაში

ზოგს სწყურია, ზოგიც წყალში დგას!

ლი სასადილოს გამგეს მ. ფიცხელაურს,.. რომელი ერთი დავაკისახელოთ. ასევე უყაირათოდ იქცევიან სატრანსპორტო გაერთიანება ტრამვაის № 2 დეპოს ხელმძღვანელები. ყოველ მათგანს მთელი დღის განმავლობაში, ბუნებრივია, დაზიანებული ონკანით სარგებლობა უხდება, მაგრამ თვალს ხუჭავს ამაზე.

21-27 ივლისს ქალაქში დიდი რაოდენობის წყლის მომთხოვნი 30 ობიექტი შემოწმდა. გამოირკვა, რომ ისინი დღე-ღამეში 3 ათას კუბურ მეტრ წყალს კარგავენ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეორე ობიექტის ონკანებისა და ჩამრეცხი აუზების მდგომარეობა სრულიად შეუწყნარებელია; ეს ნიშნავს, რომ ყოველდღიურად გამოუყენებლად იღვრება 12 ათასი კაცისათვის გათვალისწინებული ნორმა; ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს არა აქვთ გამომუშავებული სახელმწიფო საქმისადმარბარეგელ საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა არა და არ იცავს მათთვის დაწესებულ ლიმიტს. ეს მ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების განყოფილებაში დიდმნიშვნელოვანი კვლევა მიმდინარეობს მზისა და დედამიწის კავშირის დარგში. მას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ქვემოთ მოგითხრობთ ქართველი კოსმოფიზიკოსების მუშაობაზე, რომელსაც ისინი ეწევიან ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ლ. შათაშვილის ხელმძღვანელობით.

როგორც გამოირკვა, მთვარიერი მოქცევა ვლინდება არა მარტო ზღვებისა და ოკეანეების ზონის აწევით, გეომაგნიტური ველის ცვლილებებით, არამედ დედამიწის ატმოსფეროს ზედაფენების და მაგნიტოსფეროს პლაზმის ქცევით". ამის დადგენაში ახალგაზრდა კოსმოფიზიკოსს ბ. ნაყოდაშვილს დაეხმარა მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივები. ეს იმ მეტიც, მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ კოსმოსური სხივების ინტენსიურობის მთვარისმიერი ვარიაციების ამპლიტუდა ორ-სამჯერ იზრდება ჩვენს პლანეტასთან მთვარის მაქსიმალური მოახლოების პერიოდში.

აღმოჩენილი მოვლენა გაამდიდრებს მოქცევის მოვლენების თეორიას, გააფართოებს მეცნიერთა ოდნას რადიაციული სარტყელების დინამიკის შესახებ.

სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მთვარისმიერი მოქცევები ხსნიბობს დედამიწის იონოსფეროში და მაგნიტოსფეროში, ოგრამ მათი გამოვლენა „კოსმოური ზონდის" დახმარებით არ ერეხდებოდა. დედამიწაზე კოსმოსური სხივების ნაკადის რიტმში ეტისმეტად დიდი ცვლილებანი ეექვს მზის აქტიურობას.

მზიდან განუწყვეტლივ ქრის მზის ქარი, რომელიც წარმოადგენს მზის გვირგვინის პლაზმის ულმივ გამოდინებას. ეს მზის არი ყოველი მიმართულებით ერის წამში საშუალოდ 400-500 ილომეტრი სიჩქარით და საპლეტთაშორისო სივრცეში ვრცელდება რამდენიმე ათეული ასტრონომიული ერთეულის მანძილზე (ასეთი ერთეული დაახლოებით 150 მილიონ კილომეტრს უდრის).

მზის ქარის მაგნიტური არაერთგვაროვნებანი განუწყვეტლივ ცდილობენ საპლანეტთაშორისო სივრციდან „განდევნონ" გალაქტიკური კოსმოსური სხივები, შეასუსტონ მათი ინტენსიურობა. და როცა ასეთი ქარი სუსტდება, კოსმოსური სხივების ნაკადი დედამიწის მახლობლად მატულობს, ასეთი პროცესი რეგულარულად მეორდება დაახლოებით ყოველ თერთმეტ წელიწადში.

როგორც ცნობილია, დედამიწაზე მყოფი დამკვირებლისათვის მზე ერთ ბრუნს აკეთებს 27 დღეში. როცა მზის ზედაპირზე ლაქებისა და ამოფრქვევების რაოდენობის განაწილებას ასმეტრიული ხასიათი აქვს, 27-დღიანი პერიოდი ვლინდება კოსმოსური სხივების ინტენსიურობის ცვლილებებთაც.

მზის აქტიურობა აძნელებს დედამიწის მაგნიტოსფეროში მოქცევათა მოვლენებთან დაკავშირებული კოსმოსური სხივების ცვალებადობის გამოვლინებას. მზის აქტიურობის შემცირების პერიოდებში განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მთვარისმიერი მოქცევების გავლენა დედამიწის იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროზე. სწორედ ამიტომ მეცნიერმა შეძლო ამ პერიოდებში გამოვლინა კოსმოსური სხივების მთვარისმიერი ვარიაციები.

მზის ირგვლივ კოსმოსური სივრცის შესახებ სპეციალისტთა წარმოდგენა გააფართოვა ახალგაზრდა კოსმოსფიზიკოსმა თეიმურ ჯაფიაშვილმა. მან გამოავლინა საკმაოდ მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების ორწლიანი ვარიაციების (ცვლილებების) დიდმნიშვნელოვანი თავისებურება.

მეცნიერთა მიერ კოსმოსური აპარატების საშუალებით საპლანეტთაშორისო სივრცეში მოწყობილი დაკვირვებების მონაცემები რომ გაანალიზა, თ. ჯაფიაშვილმა აღმოაჩინა, რომ მერიდიანული მიმართულებით მზის ქარის სიჩქარის პერიოდული შეცვლა შეიძლება გამოვლინდეს, თუ გავთვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დედამიწა გეგმილდება რიგრიგობით მზის ხან ჩრდილოეთ, ხან სამხრეთ ნახევარსფეროზე.

მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის შედეგად, განმარტავს მეცნიერი, დედამიწა პერიოდულად მზის ეკვატორის სიბრტყის მიმართ იხრება დაახლოებით 7 გრადუსით ხან ჩრდილოეთით, ხან სამხრეთით. თებერვალში, მარტსა და აპრილში დედამიწა გეგმილდება მზის სამხრეთ ნახევარსფეროზე, ხოლო აგვისტოში, სექტემბერში, ოქტომბერში — ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე. მარტსა და სექტემბერში დედამიწის პროექცია აღწევს მზის ეკვატორიდან გადახრის უკიდურეს წერტილებს, დედამიწის სწორედ ეს გადანაცვლება დაეხმარა მეცნიერს გამოევლინა მზის ქარის ასმეტრიის მერიდიანული მიმართულებით დროებრივი დამოკიდებულება, მზეზე მიმდინარე პროცესები მაქსიმალურად აისახება დედამიწაზე მოსული კოსმოსური სხივების რიტმსა და ინტენსიურობაზე.

მერიდიანული მიმართულებით მზის ქარის სიჩქარის ასმეტრია დროში იცვლება, რაც ძლიერ იგრძნობა კოსმოსური სხივების ინტენსიურობისა და ანიზოტროპიის ცვლილებებში. როგორც ახალგაზრდა მეცნიერის ანალიზი ცხადყოფს, ასეთ ცვლილებებს ორწლიანი პერიოდულობა ახასიათებს, ამკამად ქართველი მეცნიერები განაგრძობენ დედამიწის მაგნიტოსფეროზე აღმოჩენილი მოვლენის გავლენის შესწავლას.

კ. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.



„ᲛᲗᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ"

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ

ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘ მარტოოდენ ჯანმრთელობის კერა როდია. იგი სიკეთის, ბედნიერების, ჯანმრთელობის დიდებული სასახლეა — ასეთი ჩანაწერი დაუტოვებიათ ლენინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებს სანატორიუმ „მთის ხეობის" შთაბეჭდილებათა წიგნში.

„მთის ხეობა" სულ ახლახან გაიხსნა ბორჯომის ერთ-ერთ წარმტაც ადგილას. სანატორიუმი თოთხმეტსართულიანი, კოხტა, ლამაზი და მოხდენილია. შორიდანვე იპყრობს მნახველის ყურადღებას.

„მთის ხეობა", — ამბობს სანატორიუმის მთავარი ექიმი ცოთინვალელი, — კუჭ-ნაწლავის დაავადებულთათვის არის განკუთვნილი. სანატორიუმი ერთდროულად 500 დამსვენებელს იღებს. მათთვის აქტიური დასვენებისა და მკურნალობის ყველა პირობაა შექმნილი.

კლინიკურ-დიაგნოსტიკური და სამკურნალო კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო დანადგარებითა და ხელსაწყოებით. „ბორჯომის" მინერალური წყალი კორპუსებშია შეყვანილი, ეს კი საშუალებას იძლევა, ავადმყოფებს ადგილზევე უმკურნალონ.

თუ როგორ ემსახურებიან და მკურნალობენ აქ დამსვენებლებს, ამაზე თავად მათ გაგვიზიარეს თავიანთი აზრი.

კრასნოიარსკელი ექიმი **ა. კრასნოვა:** „სანატორიუმის მედპერსონალი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ დამსვენებლები ჯანმრთელი და ენერგიაღდგენილი დაბრუნდნენ შინ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა ექიმების ნინა კალმახელიძის, მანანა მჭედლიშვილის, განყოფილების გამგის მერი ბახტაძისა და სხვების ამაგია. მადლობა მათ!".

ერევნელი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი **ჟ. ჯანგულიანი:** „მთის ხეობაში" გატარებული დღეები დიდხანს გაგვაყვება სასიამოვნო მოგონებად. აქ ყველაფერი შესანიშნავია".

სტუმრის ბუნებაა, იყოს თავაზიანი, მომღიმარი და კმაყოფილი. ეს რომ არა, დამსვენებლები ზოგიერთ უსიამო რამესაც შემოგვჩივლებდნენ და მათი უკმაყოფილების მისამართი მეცხრე სამშენებლო ტრესტის ბორჯომის მესამე სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ნ. ძიძიგური) ხელმძღვანელები იქნებოდნენ. უნდა ითქვას, სანატორიუმის მშენებლობის ხარისხი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. „მთის ხეობის" საექსპლატაციოდ გადაცემა პირობითად ეოხდა, რადგან მშენებლებს დასამთავრებელი საკმაოდ დარჩათ. მას შემდეგ, რაც შენობა პირობითად მიიღეს, შემჩნეული ხარვეზების გამოსასწორებლად რამდენიმეც ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ.

მაგრამ დამსვენებელთა მთავარი გასაჭირი მაინც უწყლობაა. ქალაქს წყალი არ ეყოფნის და მით უმეტეს — სანატორიუმებს. საჭირო გახდა სანატორიუმის ახლომახლო არტეზიული ჭების გათხრა, რომ რამენაირად შეიტანოს სანატორიუმისათვის საჭირო წყლის მარაგი. ასე რომ, სანატორიუმმა „მთის, ხეობამ" თავისი არსებობა სიძნელეებით დაიწყო.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ახალი სანატორიუმი „მთის ხეობა", ახალგაზრდა ექიმი ნ. კალმახელიძე ესაუბრება დამსვენებელს გ. აბჟიტდინოვს.

ᲤᲗ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡᲐ და **ნ. ᲫᲐᲠᲔᲚᲘᲡ** ფოტო.

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ



ᲙᲐᲪᲘ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ ᲜᲐᲛᲝᲚᲕᲐᲬᲐᲠᲘᲗ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსნაერთთა ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ პლატონ ვლადიმერის ძე გოგორიშვილს ამ დღეებში დაბადების 80 წელი უნდა შესრულებოდა. საუბნუხროდ, ამ საიუბილეო თარიღს ვეღარ ზეიმობრო ღვაწლმოსილი მეცნიერი ქიმიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომისტი, რამდენიმე ორდენისა და მედლის კავალერი.

იგი დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ბზვანში ქუთაისის ქართული გიმნაზია, და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, სხვადასხვა დროს იყო მეჯერისხევის გლეხი ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტი, ახლად დაარსებული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი. განვლო მეცნიერული ბილების რთული გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან პროფესორამდე და ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობამდე.

ინსტიტუტში მუშაობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (44 წელი ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო) პლატონ გოგორიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულდა მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის სამუშაო.

საქართველოს ნავთობის საბადოების ბურღვის, წყლების ქიმიური შედგენილობის სისტემატიური შესწავლის საფუძველზე პირველად ახლებურად წარმოგვიდგა მიწისქვეშა წყლების კლასიფიკაცია და გენეზისი. ხოლო მათგან თქვა, ერთი სული მაქვს, სანამ კოსმოსური სიმაღლიდან სამშობლოს გადმოვხედავო. ეს შესაძლებლობა ფამ ტუანს მრავალჯერ ჰქონდა. ვარსკვლაველმა ძმობილებმა ააგეგმარეს მოძმე რესპუბლიკის ტერიტორია. ეს შესაძლებლობას მისცემს ვიეტნამს მეცნიერულ საფუძველზე აღორძინოს ტყეები და მიწები, რომლებიც დაზიანდა აგრესორთა მიერ ომში გამოყენებული ბალიოდისა და ბრომის ამოღების ახალი ორიგინალური იოდატური მეთოდი წარმატებით დაინერგა სსრ კავშირის იოდის ქარხნებში.

პ. გოგორიშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში გარდამავალი ლითონების კოორდინაციულ ნაერთთა, კერძოდ, ჰიდრაზინორგანული და სულფანილამიდიური ლიგანდების შემცველ კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზსა და კვლევას, რომელიც შემდეგ ფართო მასშტაბით განვითარდა არა მარტო ინსტიტუტში, არამედ რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ, ბევრ დაწესებულებაში და ეს კვლევა პირდაპირ თუ არაპირდაპირ უშუალოდ არის დაკავშირებული ქართველი მეცნიერის მიერ დადგენილ დებულებებთან. იგი ჰ. კუპერმანთან ერთად საქართველოს მადნეულის მადნებიდან ფერადი ლითონების ამოღების პროგრესული ავტოკლავური მეთოდის ერთ-ერთი პირველი ინიციატორია. მისი ავტორობით და ხელმძღვანელობით ხორცშესხმული მადნეულის სპილენძის კონცენტრატისა და ჰიალოფორის მანგანუმის ღარიბი მადნების კომპლექსური გადამუშავების ჰიდრომეტალურგიულ-ავტოკლავური მეთოდი უკვე დგება მრეწველობის სამსახურში, ამით ჩვენი ქვეყანა მიიღებს დეფიციტურ და მეტად საჭირო სპილენძის ფხვნილს და აქტიურ მანგანუმის ორკანგს. ეს ნაშრომი აღინიშნა საქართველოს სსრ 1980 წლის სახელმწიფო პრემიით, ხოლო პ. გოგორიშვილს გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის სპატიო წოდება. მან შეისწავლა რაჭისა და სვანეთის დარიშხანიანი მადნების ქიმიური შედგენილობა და გამოავლინა მათში რამდენიმე იშვიათი და ძვირფასი ლითონის შემცველობა.

პ. გოგორიშვილი იყო ერთ-ერთი ავტორი დარიშხანის ჰელმინთოციდური პრეპარატების ვარგისიანობის შემოწმების მეტად ეფექტიანი ქიმიური მეთოდისა, რომელიც დიდი ხანია დაინერგა წარმოებაში. მისი 120 მეცნიერული ნაშრომი, მონოგრაფია და საავტორო მოწმობები, რომელთაგან ერთი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაშია პატენტირებული, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განვითარების ოქროს ფონდში შევიდა.

კოორდინაციულ ნაერთთა ქიმიის დარგში პ. გოგორიშვილის დიდი დამსახურების აღიარება გახლდათ ის, რომ კობალტის, ნიკელისა და მანგანუმის კოორდინაციულ ნაერთთა მეორე და მესამე საკავშირო თათბირების მონაწილეებს თბილისმა უმასპინძლა, გაზრახულია შემდეგი თათბირებიც თბილისში მოეწყოს. დიდია მეცნიერის წვლილი კადრების მომზადებაში. მისი ნამოწაფარნი წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

პ. გოგორიშვილი წლების მანძილზე იყო დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს გამგეობის პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის და სსრ კავშირის აროორგანული ქიმიის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს სექციების თავმჯდომარე, ბევრი სამეცნიერო საბჭოს წევრი თუ კომისიის თავმჯდომარე.

მის დიდ მეცნიერულ მოღვაწეობაში რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს მის ყოფილ ლაბორატორიაში დადგენილია ათობით ბიოაორგანული ნაერთის კრისტალური და მოლეკულური სტრუქტურა, რაც უდავოდ გარკვეულ წვლილს შეიტანს ადამიანის ორგანიზმში წამლის მოქმედების ურთულესი მექანიზმის მოლეკულური დონეზე ახსნაში.

მეცნიერის სახელი ცოცხლობს მისივე ნამოღვაწარით, მის მიერ საძირკველჩაყრილი დარგი ცოცხლობს და ვითარდება.

გ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,

ა. შველაშვილი,
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,

მ. ყარყარაშვილი,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲛᲐᲨᲕᲘᲓᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲛᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ჯეზყაზღანი, 31 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ნ. ჟელეზნოვისა და ა. ტიმლერი). ვიეტნამელ ორბატკოსა და ფამ ტუანის კოსმოსური ფრენის უკანასკნელი დღე. მეტად დაძაბული იყო. მათ ბილოდანვე დაიწყეს „სოიუზ-36" ბორტზე მომზადება დედამიწაზე დასაბრუნებლად, ხოლო „სოიუზ-37", რომლითაც ისინი ორბიტაზე გავიდნენ, ლეონიდ პოპოვსა და ვალერი რიუმინს დაუტოვეს.

ხომალდიდან ხომალდში გადატანეს სავარძლების ლოკომენტები, შეფუთეს ბორტჟურნალები. ფამ ტუანმა აღწერა საეცნიერო ბაგაჟი, რომელიც დედამიწაზე უნდა ჩამოიტანონ. ადგურში მუშაობის ექვსი დღის განძილზე საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის კოსმოსური ექსპედიციის ევრებმა მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტებისა და დაკვირვების დიდი კომპლექსი მოაწყეს. ათ შორის გახლავთ ისეთი ექსპერიმენტები, როგორიც არის „ჰალოგენი", „იმიტატორი", „პოლარიზაცია", „ილუმინატორი", „ატმოსფერო", პლანეტისა და მსოფლიო ოკეანის სხვადასხვა რაიონის ვიზუალური დაკვირვება და ფოტოგადაღება. რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ დასრულებდნენ ყველა ექსპერიმენტს, რომლებსაც, ტრადიციისამებრ, განაგრძობს კოსმოსური კომპლექსის ძირითადი ეკიპაჟი.

გაფრენის წინ პრესკონფერენციაზე ვიეტნამელმა გმირმა თქვა: „ჩვენ ბევრ ფიქრობდა ამ ფრენაზე. ეს ფრენა ჩვენ ერთ-ერთ ფრენად ჩაეთვლება ადამიანთა ისტორიაში. ეს ფრენა ეხმარება ადამიანებს, ეხმარება ეროვნულ ეკონომიკას, ეხმარება ეროვნულ ეკონომიკას, ეხმარება ეროვნულ ეკონომიკას

ᲒᲘᲨᲒᲘᲨᲔᲑᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ!

ᲘᲡᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ...

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲤᲣᲐᲚᲢᲮᲝᲛᲐ. ვაჟები, კოშაკი — **ფალკ ხოფმანი** (გდრ).

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲐ. ვაჟები. დაშნა, პირადი პირველობა — **იოხან ხარმენბერგი** (შვეიცია); ხმალი, გუნდური პირველობა — **სსრკ.**

ᲐᲨᲠᲐᲚᲜᲝᲒᲐ. „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასი — **ესპანეთის გუნდი;** „ტორნადოს“ კლასი — **ბრაზილიის გუნდი;** „სოლინგის“ კლასი — **დანიის გუნდი;** „ვარსკვლავის“ კლასი — **სსრკ-ის გუნდი;** „ფინის“ კლასი — **ესკო რეკხარდი** (ფინეთი).

ᲨᲐᲠᲜᲒᲣᲠᲘᲗᲘ. ქალები — **სსრკ-ის ნაკრები.**

ᲪᲮᲔᲝᲡᲚᲝᲜᲝᲒᲐ. დიდი პრიზი წინააღმდეგობათა გადალახვაში, გუნდური პირველობა — **სსრკ-ის გუნდი.**

ᲤᲣᲐᲚᲢᲮᲣᲠᲗᲘ. **სსრკ-ის ნაკრები.**

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. ქალები — **სსრკ-ის ნაკრები.**

ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲭᲝᲙᲔᲘ. ვაჟები — **ინდოეთის ნაკრები.**

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲠᲗᲘᲗᲘ. ქალები — **სსრკ-ის ნაკრები;** ვაჟები — **იუგოსლავიის ნაკრები.**

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲒᲐ. 52 კგ. — **ანატოლი ბელოგლაზოვი** (სსრკ); 57 კგ — **სერგი ბელოგლაზოვი** (სსრკ); 68 კგ — **საიფულა აბსაიდოვი** (სსრკ); 74 კგ — **ვალენტინ რაიჩევი** (ბულგარეთი); 82 კგ — **ისმაილ აბილოვი** (სსრკ); 100 კგ-მდე — **ილია მატე** (სსრკ); 100 კგ-ს ზევით — **სოსლან ანდოევი** (სსრკ).

ᲯᲘᲣ-ᲓᲝ. 65 კგ — **ნიკოლოზ სოლოდუხინი** (სსრკ); 71 კგ — **ეციო გამბა** (იტალია).

ᲛᲫᲚᲝᲛᲡᲜᲝᲒᲐ. ვაჟები: 400 მეტრზე რბენა — **ვიქტორ მარკინი** (სსრკ); 300 მეტრზე წინაღობებით რბენა — **ბრონისლავ მალინოვსკი** (პოლონეთი); ბირთვის კვრა — — **ვლადიმერ კისელიოვი** (სსრკ); უროს ტყორცნა — **იური სედიხი** (სსრკ); ჭოკით ხტომა — **ვლადისლავ კოზაკევიჩი** (პოლონეთი); სპორტული სიარული 50 კმ-ზე — **ხარტვიგ გაუდერი** (გდრ); ქალები: 200 მეტრზე რბენა — **გარბელ ვოკელი** (გდრ); სიგრძეზე ხტომა — **ტატიანა კოლპაკოვა** (სსრკ).

ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲐ. ვაჟები, დაშნა, გუნდური პირველობა — **საფრანგეთის ნაკრები.**

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 1 აგვისტო („კომუნისტის“ სპეც. კორ. ტელეფონით). ოლიმპიადაზე უკვე გათამაშდა მედლების 163 კომპლექტი, დღეს 19, 2 აგვისტოს — 20 და 3 აგვისტოს ასპარეზობის დახურვის დღეს—ბოლო მედლების ერთი კომპლექტი განაწილდება.

სხვებთან ერთად თბილისელებმა— ხელბურთელმა ა. ანპილოგოვმა და კალათბურთელმა ნ დერიუგინმა შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები რომ მოიპოვეს, მკითხველებმა უკვე იციან. ერთმაც და მეორემაც გარკვეული წვლილი შეიტანა გუნდურ ასპარეზობაში საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში და ცხადია, საბჭოთა სპორტსმენების წარმატებების აღმნიშვნელ მატიანეში მათი გვარებიც შევა. ხელბურთელმა ალიქსანდრი ანპილოგოვმა ტურნირის მატჩებში 28 გოლი გაიტანა, ხოლო კალათბურთელმა ნ. დერიუგინმა საბჭოთა ნაკრებს ყველა შეხვედრაში 67 ქულა შესძინა.

მშვილდოსანთა შეჯიბრების მეორე დღეს იღბლიანად და, რაც მთავარია, დიდოსტატურად იასპარეზა თბილისელმა ქეთევან ლოსაბერიძემ. იგი ორი დღის ასპარეზობისა და მ-1 ვარჯიშის (70, 60, 50 და 30 მ-ზე სროლაში) შემდეგაც ლიდერობდა და მ-2 ვარჯიშის (იგივე დისტანციებზე სროლა) დაწყების წინ 1257 ქულა ჰქონდა დაგროვილი. მეორე ადგილზე მყოფ ნატალია ბუტუზოვას ქეთევანი ექვსი ქულით უსწრებდა. მესამე ადგილზე გადაინაცვლა ფინელმა პიაივი მერილუოტომ— 1217 ქულა. როგორც ხედავთ, პირველი ვარჯიშის შემდეგ ფინელი ლოსაბერიძეს 40 ქულით ჩამორჩება, ხოლო ბუტუზოვას—35 ქულით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მ-1 ვარჯიშის 70 მეტრზე სროლაში 289 ქულით ლოსაბერიძე მეორე იყო, 60 მეტრზე— პირველი (317), 50 მ-ზე —მეორე (295), ხოლო 30 მ-ზე—პირველი (346 ქულა). რაც შეეხება მეორე ლიდერის —ნატალია ბუტუზოვას მაჩვენებლებს, იგი შესაბამისად ასეთი იყო: 301 ქულა, პირველი ადგილი, 314 და მეორე, 301 და პირველი, 335 და მესამე ადგილი.

დღეს მშვილდოსნებმა მ-2 ვარჯიშის პირველ ორ დისტანციაზე სროლაში (70 და 60 მ) იასპარეზეს. ამჯერად პირველობისათვის ბრძოლა ასე წარიმართა: 70 მეტრზე სროლაში ლოსაბერიძემ 282 ქულა დააგროვა, 70 მეტრ დისტანციაზე კი 304. სამი დღის ასპარეზობის ჯამით ლოსაბერიძეს 1843 ქულა აქვს და კვლავ პირველ ადგილზეა. ბუტუზოვა მას 8 ქულით ჩამორჩება, ხოლო ფინელი მერი ლეოტი — 23 ქულით.

2 აგვისტოს მშვილდოსანთა შეჯიბრება დამთავრდება და საბოლოოდ გაირკვევა ვინ დაეუფლება ოლიმპიადის ჯილდოებს. ქალები ამჯერად იასპარეზებენ 50-30 მეტრზე სროლაში.

დღეს საღამოს გაიმართა სსრკ ჯავშრისა და იუგოსლავიის ფეხბურთელთა მატჩი, რომელსაც უნდა გამოერკვია მესამე პრიზორის ვინაობა.

მაშ ასე, გუშინ საღამოსათვის საბჭოთა სპორტული დელეგაციის წევრ საქართველოს 16 ოლიმპიელიდან 15-მა უკვე იასპარეზა. მათგან 11-მა მედლები მოიპოვა. ვ. ბლაჟიძემ (კლასიკური ჭიდაობა) და შ. ხაბარელმა (ძიუდო) —ოქროს მედლები, ვ. სანეევმა, ს. გუნბამ (ორივე მძლეოსნობა), თ. ხუბულურმა (ძიუდო) და ა. ანპილოგოვმა (ხელბურთი) —ვერცხლის, ხოლო ლ. ცოტაძემ (წყალტხომა), ნ. დერიუგინმა (კალათბურთი), ალ. ჩივაევმ, თ. სულაქველიძემ და რ. ჩელებაძემ (სამივე ფეხბურთი) — ბრინჯაოს მედლები. ახლა ჯერი ქეთევან ლოსაბერიძეზეა. დაველოდოთ მასაც და ვიეიარაოდთ, რომ ისიც გაგვახარებს.

ოლიმპიადის მთავარ პრესკონფერენციაზე გაიმართა მორიგი პრესკონფერენცია, რომელზეც ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ პოპოვმა განაცხადა, რომ 12 დღის განმავლობაში შეჯიბრებას დაესწრო ოთხი მილიონ 151 ათასი კაცი. პრესკონფერენციაზე გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დირექტორი ქალბატონი მონიკ ბერლიუ. მან ჟურნალისტებს განაცხადა, რომ საერთაშორისო საოლიმპიადო კომიტეტის აღმასკომმა 31 ივლისის სხდომაზე დაამტკიცა ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალის ოფიციალური ოქმი. ცერემონიალზე აღმართული იქნება საბერძნეთისა და სსრ კავშირის ეროვნული ალმები, ანრეთვე მომავალი საოლიმპიადო ქალაქის ლოსანჯელესის დროშა. შესრულდება საბერძნეთის, სსრ კავშირის ეროვნული და ოლიმპიური ჰიმნები.

კითხვაზე — როგორია ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის რეაქცია ამ გადაწყვეტილების მიმართ, ოლიმპიური პრესის სამსახურის შეფმა ვლადიმერ პოპოვმა ასეთი პასუხი გასცა: საორგანიზაციო კომიტეტი ყოველთვის მკაცრად იცავდა ოლიმპიური ქარტიის ყველა დებულებას.

მეხიკელი ჟურნალისტის კითხვაზე—საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების აღმინისტრაციის კაპრიზებს ხომ არ აჰყვა — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დირექტორმა მონიკ ბერლიუმ ასე უპასუხა: ამ აზრს არ ვიზიარებ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მუშაობს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის იდეალებისათვის, ამიტომ ხანდახან საჭიროა კომპრომისებიც.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე— საბჭოთა კავშირივით გულმოდგინედ ასრულებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებს —მონიკ ბერლიუმ თქვა: სამწუხაროდ, ეს ასი არ არისო.

ესპანელი ჟურნალისტი დაინტერესდა, მომავალში ოლიმპიურ ასპარეზობათა ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო ხომ არ გახდება უარი ითქვას ეროვნული ჰიმნების შესრულებაზე და ეროვნული ალმების აღმართვაზე. ამის თაობაზე მას უპასუხეს, რომ ამ საკითხს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბადენ-ბადენის 84-ე სესია განიხილავს. ქალბატონმა ბერლიუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 4 აგვისტოს მთავარი პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტის ხ. ა. სამარანჩის პრესკონფერენცია.

Ჯ. ᲔᲜᲣᲯᲘᲫᲔ.

ᲨᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲤᲠᲘᲜᲒᲣᲠᲗᲘ. **საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გადაწყვეტ შეხვედრაში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ბულგარეთის გუნდი და ოლიმპიადის ჩემპიონი ეახლა.**

ᲛᲫᲚᲝᲛᲡᲜᲝᲒᲐ. გდრ-ის სპორტსმენმა გ. ვეხლიანმა, **დაამყარა რა მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში (236 სანტიმეტრი), ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.** მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა მიმდინარე ოლიმპიურ ასპარეზობაში ეთიოპიელმა მორბენალმა მ. ოფტერმა. იგი ამჯერად უძლიერესი იყო 5000 მეტრზე რბენაში. მარათონულ დისტანციაზე უძლიერესი იყო ვ. ცერპინსკი (გდრ), ხოლო 800 მეტრზე მორბენალ ქალთა შორის — საბჭოთა სპორტსმენი ტ. კაზანკინა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. **საბჭოთა გუნდი ბრინჯაოს მედლის მფლობელია. ეს გაირკვა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა მე-3 ადგილისათვის გამართულ ბრძოლაში ანგარიშით 2:0 დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი.** ბურთები გიატანეს ოჩანესიანმა (67-ე წთ.) და ანდრეევმა (82-ე წთ.).

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაიევი, სულაქველიძე, ჩივაძე, ხიდიატულინი, რომანცევი, შავლო, ანდრეევი, ბეხონოვი, გავრილოვი, ჩერენკოვი (ბალტაჩა), გაზაევი (ოჩანესიანი).



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქართველი სპორტსმენი ქეთევან ლოსაბერიძე — მშვილდოსანთა შეჯიბრების ლიდერი; ბულგარელმა მოჭიდავემ ვალენტინ რაიჩევმა ოლიმპიადის ოქროს მედალთან ერთად მაყურებელთა სიმპათიაც დაიმსახურა; ოლიმპიადის ჩემპიონი — პოლონელი ჭოკით მხტომელი ვლადისლავ კოზაკევიჩი.

საკ.ᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

● ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲒᲐ ● ᲫᲐᲚᲝᲜᲝᲒᲐ ● ᲪᲮᲔᲝᲡᲚᲝᲜᲝᲒᲐ ● ᲛᲫᲚᲝᲛᲡᲜᲝᲒᲐ ● ᲨᲐᲠᲘᲙᲐᲝᲐ ● ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲭᲝᲙᲔᲘ ● ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲝᲠᲘ დღეც და, მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობა ფინიშის ხაზს გადაკვეთს. ჩემპიონების, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების უმეტესობა უკვე გამოვლინდა. 30 ივლისისათვის ყველაზე მეტი ჩემპიონი საბჭოთა დელეგაციას ჰყავდა (56), ურიგოდ არ უასპარეზიათ გდრ-ის წარმომადგენლებსაც, რომელთაც მოსკოვის ოლიმპიადაზე უკვე 34 ოქროს მედალი მოიპოვეს.

მაგრამ ახალი ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ოლიმპიურ ასპარეზობაში მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა. მსოფლიოს 81 ქვეყნის სპორტსმენები კი ამ გრანდიოზულ სპორტულ ფორუმში მონაწილეობით მართლაც დიდად კმაყოფილი არიან. სტუმართმოყვარე მოსკოვი და მოსკოველები, მთელი საბჭოთა ხალხი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ მსოფლიოს რჩეულ ათლეტებს, რომლებიც თავიანთი მხრივ უსაზღვრო კმაყოფილებას გამოთქვამენ ოლიმპიადის ორგანიზატორების მისამართით.

ახლა კი უშუალოდ სპორტულ სარბიელზე მომხდარი ძირითადი მოვლენების შესახებ.

თავისუფალ ჭიდაობაში კარგა ხანია ასე წარმატებით არ უასპარეზიათ საბჭოთა ფალავნებს, რომელთა შორის წლეულს, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ ვიხილეთ. ათი წონითი კატეგორიიდან ჩვენმა ათლეტებმა შვიდი პირველი ადგილი მოიპოვეს. ცსკა-ს ახალი სპორტული კომპლექსის ხალიჩაზე განსაკუთრებული ბედნიერი წუთები ჰქონდა სოსლან ანდოევს, რომელმაც 100 კგ-ს ზევით წონის ფალავნებს შორის მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია, რომ ფინალურ ორთაბრძოლაში მან საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო პოლონელ გიგანტს ადამ სანდურსკის, რომლის სიმაღლე 215 სანტიმეტრია. არანაკლებ სასიხარულო წუთები ჰქონდათ ბელოგლაზოვებს. ძმები ანატოლი და სერგი ოლიმპიური ოქროს მედლებით ბრუნდებიან ოჯახში. უცოლელ ფალავანთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბულგარელი ვალენტინ რაიჩევი. ამ სალამოვნო შესახედაობის სპორტსმენმა, რომელიც 74 კგ წონაში გამოდიოდა, ჭიდაობაც ლამაზი უჩვენა მაყურებელს.

დიდი მოულოდნელობით აღინიშნა „იზმაილოვოში“ **ძალოსანთა ტურნირის** ბოლო დღე. ოლიმპიურ ასპარეზობათა და მსოფლიოს რეკორდების ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ვასილ ალექსეევმა, რომელიც ორი წელი. ფიცარნაგზე არ გამოჩენილა, პირველ მოძრაობაში — ატაცში ვერც ერთ ცდაზე ვერ შეძლო 180 კგ-ის აწევა, ნული შეფასება მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. რას იზამ, წლების თავისი მოიქვეს. ახალგაზრდა სულთან რახმანოვმა 195 კგ ატაცა, 245 კგ აჰკრა და ორმაგიდის ჯამში 440 კგ-ით პირველობა მოიპოვა. მეორე პრიზიორი იურგენ ხაიბერი (გდრ) გამაჯვებულს 30 კგ-ით ჩამორჩა, პოლონელი ტადეუშ რუტკოვსკი — 32,5 კგ-ით.

მაგრამ ასაკი ყველაზე ერთნაირად როდი მოქმედებს, ზოგიერთის სპორტული დღეგრძელობა მართლაც საოცარია, და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ჩვენმა ცხენოსნებმა ვ. უგრიუმოვმა, ვ. მისევიჩმა და ი. კოეშოვმა, რომლებმაც **ცხენის გაწვრთნილობაში** არავის დაუთმეს დიდი პრიზი და **ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 18.00 — მოსწავლეთათვის — „ჩუბა მშვენიერნებისაკენ“ (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.55 — განცხადებები, 19.00 — გადაცემა „ჩვენმეგი ძირითადი“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.). 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — „პირველად ჩვენს ეკრანებზე“ — მხატვრული ფილმი „ოთხთვალა სამხრეთიდან“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „საღამოს ზღაპარი“ (ფ.), 23.10 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „ზღვის ფერები“, 16.45 — განცხადებები, 16.50 — საგანმანათლებლო ფილმ-სპექტაკლი „ახალგაზრდა ცოლქმრის ამბავი“, 18.35 — „ეს ეკონომიკა“... (ფ.), 19.25 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „ფუძე“ (ფ.).

5 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ჯადოქარი“ (ფ.), 19.15 — განცხადებები, 19.20 — „ხალხთა მეგობრობის სამსახურში“ (ფ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „მღერის თეგიზ ზაალიშვილი“ (ფ.), 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: მოსკოვის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“. მეორე გაიმი (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „მწვრალი და ცხოვრება“ — ამირან აბშილავა (ფ.), 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.35 — განცხადებები, 16.40 — მხატვრული ფილმი „სიხარულის ყურე“. პირველი და მეორე ნაწილი, 18.45 — „თეატრალური ფოსტა“ (ფ.).

6 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოსწავლეთათვის — „სასამო ნექტარი“ (ფ.), 19.10 — „ადამიანი — სიხარულავი უპირველესი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — ქართული ფილმი „ნეტრგები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „გაზ“-ტბილისი „ფაზანთქორი“ — თბილისის „დინამო“. 5 აგვისტოს მაგრის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი, 23.20 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ბანს რიოკლე და ეშმაკი“ (ფ.), 17.15 — განცხადებები, 17.20 — „საკრავის ისტორია“ — ვიოლინო (ფ.), 18.30—საგანმანათლებლო მხატვრული ფილმი „მოვალეობული ფსიქიელი“.

7 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „მეგობრების გამოცდილება“ — საკურორტო მშენებლობა სოჭში (ფ.), 18.55 — მუსიკალური შესვენება. 19.00 — „ლიტერატურული რუსთავი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — „ეროვნული ბუსი“ (ფ.), 21.20 — „ოპერის შემოქმედებითი ახალგაზრდობა“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „სპარტაკი“ (მ.), შესვენების დროს — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „მოსკოვის საგირის თეატრი ეკრანზე“, 17.05 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი თეატრი“ (ფ.), 17.55 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „ალბანგის მერიდიანი“ (ფ.), 18.45 — საგანმანათლებლო მხატვრული ფილმ-ბალეტი „ბუბენელი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ამას მკვლელობას ვუწოდებ“. ციკლიდან „ბიზნესის სამყაროში“ (მ.), 20.55 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — „ვერნისაჟი“. „ეანდაკიების შედევრები“ — ოგიუსტ როდენი (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.). 23.05 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სპილო და თოკი“, 16.45 — მოსწავლეთათვის — „მეერის ბალეტიკა“ (ფ.), 17.20 — განცხადებები, 17.25 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმები. „მოლდავური ეტიუდები“, „რეული კინოლეგენდა“ 18.25 — მხატვრული ფილმი „ბიჭნი ტიბლის ჯასი“ (ფ.).

9 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმები: „ფიზიკულტურული სალონი“, „ეამაში, შთაგონება, ბედი“ (ფ.), 11.15 — „ეკონომიკა“. დაბადების ნაწარმოებებიდან (ფ.), 11.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სანამ საათი რეკავს“ (ფ.), 13.00 — ლიტერატურული გადაცემა „ეროვნული ეთათვის — „ოსკარ უაილდი“ (ფ.), 13.40 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 14.10 — მუსიკალური შესვენება, 14.15 — „დღეს ფიზიკულტურელის საკავშირო დღეა“ (მ.), 14.30 — „გაკუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ (ფ.), 14.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 16.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ეამაროვნოს ენა ენასახელილთან“ (ფ.), 17.35 — ზეცხაფონისა და ქარელის თვითმოქმედება (ფ.), 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე თბილისის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“. ფინალი (მ.), 19.55 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „მშვენიერი ხარ, ოლიმპიადავ!“. პრემიერა (მ.), 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადარაჯუ“. 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ლოდი საგანლდაო სიტყვისა“ — გიორგი შაგბერაშვილი (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მხეცდრები“. პირველი სერია, 17.40 — განცხადებები, 17.45 — კონცერტი, 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — მხატვრული ფილმი „თრთომეგი იმედი“ (ქართული ენაზე).

10 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმი „მშენებლები“, 10.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი. პრობლემები“ (ფ.), 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — „ეანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — მ. ზოშენენკო (ფ.), 13.50 — „კინოს მოყვარულთათვის“, 15.35 — „ვისგნიკი““ (ფ.), 16.05 — „დღეს მშენებლის დღეა“ (მ.), 16.20 — სოფელ ლეესიჭინეს თვითმოქმედება (ფ.), 17.15 — კინოადაფრა, 17.50 — ფ. შოპენის ნაწარმოებები. უკრა